ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ალექსანდრე გოგოძის ანგარიში 2016 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ამირჩიეს ნაგომარის მაჟორიტარული ოლქიდან, ვარ ფრაქცია „ჩვენი ოზურგეთის" თავმჯდომარე.

2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, მონაწილეობა მაქვს მიღებული 22 ბიუროსა და 22 საკრებულოს სხდომაში,განხილული იქნა 101 საკითხი,მიღებულია 28 დადგენილება 73 განკარგულება. ჩატარდა 23 ფრაქციის სხდომა.

ასევე ვარ ორი კომისსის წევრი (საფინანსო- საბიუჯეტო და სამანდატო, საპროცედურო, იურდიული და ეთიკის საკითხთა). აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი კომისიების სხდომებში.

მოსახლეობასთან, გრაფიკით განსაზღვრული მაქვს შეხვედრის დღე (თვეში ოეჯერ), ასევე მიღების საათები, თუმცა, კვირის სხვა დღეებშიც ვხვდები და ვეცნობი თანასოფლელების პრობლემებს, როგორც საკრებულოში, ასევე უშუალოდ ნაგომარში.

მოქალაქეებთან შეხვედრისას და განცხადებების განხილვისას პრობლემები ძირითადად ეხებოდა:

- გაზიფიცირებას, გარე განათებას.
- შიდა ცენტრალური გზების ასფალტირებას.
- სოციალურად დაუცველი ადამიანების ოპერაციებისა და წამლებისთვის საჭირო ფინანსური დახმარების გაწევას.
- დაზიანებული სახლების სახურავების შესაკეთებლად მასალების შეძენას.

მოსახლეობასთან შეხვედრებისას ძირითადად იკვეთებოდა სოციალური და ინფრასტრუქტურის მიმართულებით მოსაგვარებელი პრობლემები. 2016 წელს აღმასრულებელ ხელისუფლებასთან კოორდინირებული მუშაობის გზით და ჩემი უშუალო შუამდგომლობით დახმარება გაეწია ნაგომრის მოსახლეობას.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების მიზნით:

1.გამგებლის სარეზერვო ფონდიდან: დახამარება გაეიწია 6 ბენეფიციალს 16 85ლარის ოდენობით.
2.სამედიცინო დახმარება გაეწია 23 ბენეფიციალს სულ4215 ლარის ოდენობთ.
3. სოც.დაუცველი მოსახლეობას დახმარება გაეწია: სამშენებლო მასალით, სულ: 6 ბენეფიციალს, 8,3 კბმ ხის კოჭი, 3,7 კბმ ლარტყა,455 კბმ თუნუქი.
4. შიდა გზების რეაბილიტაცია,არხების გაწმენდა და ნარჩენების დატვირთვა ავტომანქანაზე, ავტოგრეიდერით 1300 კვმ გზის მოწესრიგება 3104 ლარის ღირებულებით.

2016 წლის სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები:
1.საბავშვო ბაღში სანტექნიკის მოწესრიგება: 816,33 ლარი.
2.ბეტონის გზის მოწყობა: 27379,62 ლარი.
3.საექიმო ამბულატორიის სარემონტო სამუშაოები: 2854,64 ლარი.
4. შუაისნარის ხიდის შეკეთება: 1690,78 ლარი.
5. შუაისნარის მილხიდის შეკეთება: 2152,63 ლარი.

2016 წელს სოფ:ნაგომარში დაიწყო საავტომობილო გზის რეაბილიტაცია. საავტომობუილო გზაზე დაიგო 940 მ ასფალტის საფარი . 2017 წლისთვის დაგეგმილი გვაქვს 2060 მ სასოფლო გზის მოასფალტება.

იმედს გამოვთქვამ, რომ 2017 წელს საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის ერთობლივი ძალისხმევით უფრო მეტი სოციალური თუ ინფრასტრუქტურული საკითხის წარმატებით გადაჭრას შევძლებთ.

საკრებულიოს წევრი: ალექსანდრე გოგოძე